განკარგულება:**g-81.81220104**
თარიღი:**10/01/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №2

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების-ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე საკრებულოს შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე არსებული 32.65 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის" გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების-ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე საკრებულოს შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე არსებული 32.65 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის" გადაცემაზე . (ადგილობრივი მოსახლეობისთვის სანოტარო მომსახურების შეუფერხებლად მიღების მიზნით)

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი